ეთიკის კომისიის
ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 01.04.2013
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 003/13

შეკითხვა:

ადვოკატი გარკვეული დროის მანძილზე კლიენტს მომსახურებას უწევდა უფასოდ, რის შემდეგაც მან კლიენტს განუმარტა, რომ მომავალი კონსულტაციებისათვს დადგენილი საზღაურის გადახდა დასჭირდებოდა. კლიენტთან შეთანხმება კონსულტაციისათვის გადასახდელ ჰონორარზე შედგა - თითოეული კონსულტაცია განისაზღვრა 50 ლარის ოდენობით. მიუხედავად ამისა, კლიენტმა არ გადაიხადა ფასიანი კონსულტაციის თანხა. აქვს თუ არა ადვოკატს უფლება მოსთხოვოს კლიენტს შეთანხმებული საზღაურის გადახდა?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 ნაწილი: „ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 ნაწილი იმპერატიულად განსაზღვრვას, რომ ადვოკატმა წინასწარ უნდა აცნობოს კლიენტს ანაზღაურების განაკვეთი და გამოთვლის წესი. ჰონორარი მხოლოდ მაშინ იქნება განსაზღვრული და შეთანხმებული მხარეებს შორის, როდესაც ნორმის შესაბამისად წინასწარაა განსაზღვრული გამოთვლის წესი და ის მისაღებია კლიენტისათვის.

განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატმა განუმარტა კლიენტს, რომ კონსულტაციის გაწევა ფასიანი იქნებოდა და შეუთანხმდა თითოეული კონსულტაციის ღირებულებაზე - 50 ლარზე. შესაბამისად, ანაზღაურების განაკვეთი წინასწარ იყო ცნობილი კლიენტისათვის. მან

აღნიშნულზე თანხმობა განაცხადა. შესაბამისად, ადვოკატს აქვს უფლება მოსთხოვოს კლიენტს გაწეული მომსახურების ანაზღაურება.

დასკვნა:

თუ ადვოკატი კლიენტს წინასწარ შეუთანხმებს საადვოკატო მომსახურების თანხას და კლიენტი თანხმობას განუცხადებს აღნიშნულზე, ადვოკატს უფლება აქვს მოითხოვოს ამ პირობით გაწეული კონსულტაციების შესაბამისი ანაზღაურება.

ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო მოსაზრება და არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე.